

ბიორგი სალუქვაპის სახელობის ფოლკლორის VIII საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი



6-8 ივლისს ოზურგეთის ეკის კულტურის სახლში გა- მუნიციპალიტეტის დაბა ურ- იმართა ცნობილი ქორეოგ-

რაფისა და ლობარის, საქ- ართველოს სახალხო არტის- ტის გიორგი სალუქვაპის სა- ხელობის ფოლკლორის VIII საერთაშორისო კონკურს-ფე- სტივალი.

ფესტივალის მონაწილეები პირველ დღეს ურეკის კულ- ტურის სახლში წარდგენ მანერების წინაშე. მომდევ- ენო დღეს ქ. ოზურგეთში ყვავილების გვირგვინით შეამკეს გიორგი სალუქვაპის გორელიეფი.

შემდეგ ღონისძიება, სოფ- ელ ცხემლისხიდის ადმინის- ტრაციულ ერთეულში გიორ- გი სალუქვაპის სახელობის

სახლ-მუზეუმში ჩატარდა.

ფესტივალის დასკენით დღეს კონკურს-ფესტივალში მონაწილე ანსამბლების სახეობა მსვლელობა გაიმართა დაბა ურეკის ბულვარში. საღამოს კი გალა-კონცერტი და დაჯილ- დოება დაბა ურეკში ღია ცის ქვეშ.

ღონისძიების ორგანიზატ- ორები იყვნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგეობის კულტურის, სპო- რტისა და ტურიზმის განვ- ითარების სამსახური, საზო- გადოება „არტ-გურია“,



ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიცი- ორტისა და ტურიზმის გან- პალიტეტის კულტურის, სპ- ვითარების ცენტრი“.

ქ ა ლ ა ნ ი

უბველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამომცემბა. № 27 (10221, 10 ივლისი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი).

გურიის გუბერნატორი გია სალუქვაპე ირანის ისლამური რესპუბლიკის გენერალურ კონსულს კონსტანტინე მამუკაძეს უხვდა



ალეონი. გაცნობითი ხასიითის შეხვედრაზე მსარეგულაციო მჭიდრო თანამშრომლობის და ურთიერთ-ობების გაღრმავების საკითხებზე ისაუბრეს.

„მინდა აღვნიშნო, რომ ირანთან თანამშრომლობა სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მამარ- თულებით ძალიან მნიშვნელოვანია.

ბატონი კონსული დანტერესდა გურიაში არსებული საინვესტიციო გარემოთი და შეთანხმდით შემდ- გომი ურთიერთობების გაღრმავ- ებაზე და ასევე, რეგიონში ერთობ- ლივი პროექტების განხორციელე- ბაზე“ აღნიშნა შეხვედრის დასრუ- ლების შემდეგ ვა სალუქვაპემ.

ბეტონის გზა - ჯუმათის მონასტრისაკენ



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუმათში, მთავარ- ანგელოზის მონასტერთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარი დაიწყო.

სამუშაოები დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

კონსტრუქცია და კონსტრუქციის სკოლის ასფლიანი იუბილე

2017 წლის 3 ივნისი განსა- კუთრებულ თარიღად შევიდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონსტრუქციის ისტორიაში. სოფლის პირველ სახალხო დღ- ესასწავლ კონსტრუქციის 100 წლ- ითობლიური სკოლის 100 წლ- ისთავი იხილეს კონსტრუქციის მ- რთვით საიუბილეოდ გამოშ- ვებულ ბროშურაში ვკითხუ- ლობით, სკოლა 1917 წელს თომას არონიშვილის და ვასილ სირაძის ინიციატივით გახსნილა, მისი პირველი მასწავლებელი კი ეკა- ტერინე ერასტოს ასული არ- ონიშვილი ყოფილა. სკოლა მუშა- ობას შედგომია სოფელში გაკეთებული 25 მერხით, ერთი დაფითა და ადგილობრივი მკლ- სისგან ნაწყობობები ერთი ხატი. ერთ საგანზელი წერილში



სკოლის ისტორიაზე ამოწუ- რავად საუბარი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამიტომ მხოლოდ ძალიან მნიშვნელოვან შტრიხ- ებზე შევჩერდებით. 1932-1933 წლებში



სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

ალეონი. ქალაქ ოზურგეთში აპრილის თვეში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული ინდივიდუ- ალური საცხოვრებელი სახლების, ასევე მრავალბინიანი კორპუსების სასურავების და ფასადების სარე- აბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

მიმდინარე სამუშაო პროცესს ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე უშუალოდ გაეცნო და დაზარალებულ მოქალაქეებს გაე- საუბრა. ქალაქის მერმა ასევე ფარნავაზ მფეის ქუჩაზე არსებუ- ლი მრავალბინიანი კორპუსი მონახულა, რომელიც სტიქიის შედეგად დაზიანდა. სალიკვიდაციო სამუშაოების შედეგად, აღნიშნული კორპუსი ფერადი თუნუქით შეიფუთება.

ბეგლარ სიორიძე, ქალაქ ოზუ-

რგეთის მერი: „სამწუხაროდ, 23 აპრილს მომხდარმა სტიქიამ ქალაქ ოზურგეთს საკმაოდ დიდი ზარალი მიყენა. დაზიანდა, რო- გორც ინდივიდუალური საცხოვ- რებელი სახლები, ასევე მრავალ- ბინიანი კორპუსები. ზარალის სა- ლიკვიდაციოდ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მუნიციპალიტეტს თანხა მცისიერად გამოუყო, რამაც საშუალება მოგვცა მოსახლეობის პრობლემები თერაპიულად გადა- გვეჭრა. ქალაქის მერიაში შექმ- ნილმა სპეციალურმა კომისიამ იმ მოქალაქეთა განცხადებები განიხი- ლა, რომლებმაც მერიას დახმარე- ბის თხოვნით მომართეს. კომისიამ ადგილზე შეისწავლა თითოეული განმცხადებლის პრობლემა და მო- ხარული ვარ, რომ ჩვენ ყველა დაზარალებულს ვეხმარებით.“



მიმდინარე წლის აპრილში შაოებს შპს „პლანეტა“, შპს „მო- სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიე- ბების განსახორციელებლად, მთავრობის დადგენილებით 1 700 000 ლარია გამოყოფილი. სამუ-

შაოებს შპს „პლანეტა“, შპს „მო- სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიე- ბების განსახორციელებლად, მთავრობის დადგენილებით 1 700 000 ლარია გამოყოფილი. სამუ-

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გასენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საჯარი ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით - 2 ლარი,
სამი თვით - 6 ლარი,
6 თვით - 12 ლარი,
ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარმანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი
ოჩხაბათი აღიონზე
«ალიონით»

საკრებულოს სხდომაზე განხილული და დაამტკიცებული საკითხები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 ივლისის სხდომაზე 8 საკითხი განიხილეს. დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღებას. საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის 35 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. სხდომაზე დაამტკიცეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა.“ მიიღეს დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც ვრცელდება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 33-ე მუხლის პირველი ნაწი-

ლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“. დაამტკიცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ტიპური ფორმები და მათი აღრიცხვა-ანგარიშგების წესი. მიიღეს დადგენილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, ასევე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაკრობის რეგულირების შესახებ“. ცვლილება შეიტანეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 იანვრის №3 დადგენილებაში



„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და გამგეობის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ და 2015 წლის 8 იანვრის №2

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ოზურგეთში საჯარო შეხვედრა გამართა



7 ივლისის ქალაქ ოზურგეთში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა საჯარო შეხვედრა გამართეს დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრაზე განიხილეს სახელმწიფო

აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და გაცემული რეკომენდაციები. შეხვედრის მონაწილეებს ასევე გააცნეს აუდიტის სამსახურის ახალი ინოვაციური ვებპლატფორმის - ბიუჯეტის მონიტორის (www.budget-monitor.ge) შესახებ ინფორმაცია. როგორც შეხვედრაზე ითქვა, ბიუჯეტის მონიტორი საკრებულოს წევრებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, დაინტერესებულ ექსპერტებსა და მოქალაქეებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, აირჩიონ მათთვის საინტერესო სფერო და მიიღონ მუდმივად განახლებადი და სანდო ინფორმაცია თითოეული მუნიციპალიტეტის შემოს-

ავლების, ხარჯების, ტრანსფერების, ინფრასტრუქტურული პროექტების, ადმინისტრაციული ხარჯებისა და აღნიშნულ საკითხებზე აუდიტის შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და რეკომენდაციების შესახებ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობის თქმით, საჯარო განხილვები მსგავსი ფორმატით ასევე ჩატარდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში - ბათუმში, თბილისში. საჯარო განხილვები ხორციელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და USAID-ის პროგრამა „კარგი მმართველობის ინიციატივის“ პროექტის „აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის“ ფარგლებში.

პროცესული გამოცდები ოზურგეთის საგამოცდო ცენტრში



ოზურგეთის საგამოცდო ცენტრში, ისევე როგორც სხვა საგამოცდო ცენტრებში, ერთიანი ეროვნული გამოცდები მიმდინარეობს. საგამოცდო ცენტრში სულ დარეგისტრირებულია 531 აბიტურიენტი. 3-4 ივლისსა და 6-7 ივლისის დამთავრდა პირველი და მეორე სესიები ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ზოგად უნარებში. საგამოცდო ცენტრიდან მიღებული ინფორმაციით, გამოცდები მიმდინარეობს მშვიდ ვითარებაში. გაგაცნობთ დარჩენილი გამოცდების განრიგს თანმიმდევრობისა და


- ლიტერატურა
- 17 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ისტორია
 - 18 ივლისი (მეორე სესია) - ბიოლოგია
 - 19 ივლისი (მეორე სესია) - ქიმია
 - 25 ივლისი (პირველი სესია) - სამოქალაქო განათლება
 - 26 ივლისი (პირველი სესია) - ფიზიკა
 - 26 ივლისი (პირველი სესია) - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
 - 27 ივლისი (პირველი სესია) - სტუდენტთა საგრანტო კონკურსი
- აბიტურიენტები გამოცდებს წელსაც ნაწილობრივ ელექტრონული ფორმით აბარებენ. როგორც ცნობილია, აპლიკანტები საგამოცდო ბარათების ამობეჭდვას თავად შეძლებენ მას შემდეგ, რაც პირად საგამოცდო გვერდზე შესაბამისი ნიშანი გაჩნდება.

არჩილ თალაკვაძემ გაზეთიპაციის მიმდინარე საშუაგობს გაეცნო



არჩილ თალაკვაძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, მერაბ ჭანუყვაძესთან ერთად სოფელ თხინვალსა და წვერმაღალას დასახლებაში მიმდინარე გაზიფიკაციის სამუშაოები დაათვალიერა. წელს გაზიფიკაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 11 სოფელში დაიწყება. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებსაც გაეცნო.

კონსტატორა და კონსტატორის სკოლის ასწლიანი იუბილე



კონსტატორაში არასრული სკოლა გაიხსნა, რომლის დირექტორად დანიშნეს ნოე კონსტანტინეს ძე თოიძე. მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ სკოლა გადაკეთდა რვაწლიანად.

1954 წლის 24 ნოემბერს, 45 წლისთავე კონსტატორაში გაიხსნა საშუალო სკოლა, რომლის დირექტორად სხვადასხვა წლებში მუშაობდნენ: ნოე კონსტანტინეს ძე თოიძე, დავით იოსების ძე ჭანტურია, გური პორფილის ძე ჭანტურია, ზურაბ დავითის ძე სირაძე, გურამ დავითის ძე ტულუშვილი, ელგუჯა კონსტანტინეს ძე კოსტავა, რომან ნიკოლოზის ძე სირაძე, 2011 წლიდან საჯარო სკოლას ხელმძღვანელობს

მინდია თეიმურაზის ძე გოთუა.

სკოლამ ქვეყანას აღუზარდა მრავალი ღირსეული პიროვნება და სახელმწიფო მოღვაწე, გამორჩენილი მეცნიერი თუ აქტიური პოლიტიკოსი.

საიუბილეო თარიღი კონსტატორის საჯარო სკოლას მიულოცეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, ამ სკოლის აღზრდილმა ბეგლარ სიორიძემ, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, ამავე სკოლის აღზრდილმა ზაზა სიორიძემ, გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ, გუბერნატორის მოადგილეებმა სოსო

ერქომიშვილმა და გია ებრაღიძემ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა როზა გოგუაძემ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა.

მაღე სკოლის მატინეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი შეემატება - მზად არის ყველა დოკუმენტაცია იმისთვის, რომ კონსტატორის ცოდნის ამ ტაძარს აღუდგეს სკოლის აღზრდილის, თანასოფელელის, რაიონისა და ქვეყნის საამაყო შვილის იური სიორიძის სახელი.

რაც შეეხება სახალხო დღესასწაულს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის პროექტი, რომელიც სოფლების სახელობითი დღესასწაულების დაწესებას, ადგილობრივი ანსამბლების წარმოჩენასა და მუნიციპალიტეტის დამსახურებული მოღვაწეების გამოვლენას ითვალისწინებს, კონსტატორაში წელს პირველად მიეწყო.

გაიმართა გალა-კონცერტი ქართული ესტრადის მომღერლებისა და ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით.

სპეციალურად ამ დღისთვის კონსტატორაში მუსიკალური ნომრები ნოდინო ტატიშვილმა, სალომე ბაკურაძემ და ოთო ნემსაძემ შეასრულეს.

კონცერტში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული და ქორე-

ოგრაფიული ანსამბლები: „შემოქმედი“, „ურეკი“, „ზენაარი“, „კოლხა“ და „ფესვები“.

გამოვლინდნენ კონსტატორის საპატიო მცხოვრებლები: სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის მუნიციპალიტეტის დამსახურებული მოღვაწის ტიტული მიენიჭა მირონ ტულუშვილს, საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საპატიო მოქალაქედ ზაზა სიორიძე დასახელდა, ხოლო პედაგოგიური და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ჯილდო ნათელა გოთუამ მიიღო.

მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეებს სპეციალური ჯილდოები და სიგელები ოზურგეთის მუნიციპა-

ლიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ გადასცა.

„კონსტატორა 2017“ გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

სახალხო დღესასწაულსა და სკოლის საუკუნოვან იუბილეს კონსტატორაში დიდებულ ფორმაში შეხვდა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, სოფელ კონსტატორის მაჟორიტარ დეპუტატს, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს ტარიელ არომიძეს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს კონსტატორის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი ლოდას.



„ტურიზმის სექტორის მდგომარეობა და გამოწვევები“

ქალაქ ქუთაისში, სასტუმრო „ბაგრატი“ გაიმართა კონფერენცია თემაზე „ტურიზმის სექტორის მდგომარეობა და გამოწვევები“.

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, მერაბ ჭანუყვაძე, გამგებობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - ნატალია ხომერიკი, გურიის სამხარეო ადმინისტრაციისა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების სამსახურის თანამშრომლები დაესწრნენ.

კონფერენცია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩოგვაძემ გახსნა.

ჩოგვაძემ აქცენტი არსებული ტურისტული სერვისების გაუმჯობესებაზე, უცხოურ ტურისტულ კომპანიებთან თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებსა და ახალ გამოწვევებზე გააკეთა.

შეხვედრაზე სხვადასხვა რეგიონის ტურისტული სამსახურების წარმომადგენლებმა ტურიზმის განვითარების მიმართულებით განხორციელებული პროექტები პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

ტურიზმის განვითარებისა და მოქმედი კურორტების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ პრეზენტაცია კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა - ნატალია ხომერიკმა გააკეთა.

შეხვედრაზე იმ სამოქმედო პროგრამებსა და ახალ ინიციატივებზეც ისაუბრეს, რომლებსაც რეგიონული ტურისტული სამსახურები სამომავლოდ ადგილობრივ და უცხოელ ვიზიტორებს შესთავაზებენ.



საქართველოს საბარეო ვალი 38.3 მლრდ ლარს შეადგენს



საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ქვეყნის მთლიანმა საბარეო ვალმა, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით, 15.7 მლრდ აშშ დოლარი (38.3 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 108.2 პროცენტია; 2017 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთლიანი საბარეო ვალი 188.9 მლნ

აშშ დოლარით გაიზარდა, აქედან ვალი საკურსო ცვლილებების გამო 148.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, ხოლო ფასის და სხვა ცვლილებების გამო შესაბამისად 24.1 და 51.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ამასთან, ოპერაციული ცვლილებების გამო ვალი 34.6 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა.

სახელმწიფო საბარეო ვალმა შეადგინა 6.7 მლრდ აშშ დოლარი (16.4 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 46.5 პროცენტია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 4.8 მლრდ აშშ დოლარი (11.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 32.9 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 198.1 მლნ აშშ დოლარი (484.3 მლნ ლარი; მშპ-ს 1.4 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები შესაბამისად - 887.1 მლნ აშშ დოლარი (2.2 მლრდ ლარი; მშპ-ს 6.1 პროცენტი) და 876.2 მლნ აშშ დოლარი (2.1 მლრდ ლარი; მშპ-ს 6.1 პროცენტი).

ამასთან, საბანკო სექტორის საბარეო ვალმა შეადგინა 3.2 მლრდ აშშ დოლარი (7.9 მლრდ ლარი; მშპ-ს 22.3 პროცენტი), სხვა სექტორების

საბარეო ვალმა - 4.9 მლრდ აშშ დოლარი (12.1 მლრდ ლარი; მშპ-ს 34.2 პროცენტი) და კომპანიათა-ამორისო ვალმა - 2.5 მლრდ აშშ დოლარი (6.2 მლრდ ლარი; მშპ-ს 17.5 პროცენტი). მთლიანი საბარეო ვალის 93.6 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

საქართველოს წმინდა საბარეო ვალმა, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით, 9.7 მლრდ აშშ დოლარი (23.7 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 67.1 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საბარეო ვალი 3.9 მლრდ აშშ დოლარია (9.4 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 26.7 პროცენტია.

2017 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის

საბარეო ვალი 2.2 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო ეროვნული ბანკის საბარეო ვალდებულებები 4.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, ხოლო საკურსო ცვლილებების გამო ვალი 1.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. 2017 წლის პირველი კვარტლის ბოლოს ეროვნული ბანკის მთლიანმა ვალდებულებებმა 198.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, 195.4 მლნ აშშ დოლარი განაწილებული ნასესხობის სპეციალური უფლებაა (ნსუ)1, რომელსაც არ აქვს დაფარვის ვადა და პრაქტიკულად, მისი გადახდის ვალდებულება არ დადგება, სანამ საქართველო იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პარლამენტის წევრებს

კონსტიტუციის შეცვლა და თვითმმართველი ერთეულების შექმნა-გაუქმება ის ორი საკითხია, რომელთა გადაწყვეტაში მოსახლეობის ჩართულობის სავალდებულოებას საქართველოს კონსტიტუციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. ისევე, როგორც კონსტიტუციის ცვლილების შემთხვევაში, თვითმმართველი ერთეულის შექმნა-გაუქმების დროსაც, მოსახლეობასთან საკითხის წინასწარი განხილვა სავალდებულო პროცედურაა. ამ პირობის დარღვევა საფრთხის ქვეშ აყენებს მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას და მისი ანტიკონსტიტუციურობის რისკებს ქმნის. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „თვითმმართველი ერთეულის გაუქმებას ან მისი აღ-

ინისტრაციული საზღვრების გადასინჯვას წინ უნდა უსწრებდეს თვითმმართველ ერთეულთან კონსულტაციები“, რამდენადაც, „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით“.

7 თვითმმართველი ქალაქისათვის თვითმმართველი ერთეულის სტატუსის გაუქმების გადაწყვეტილების მიღებისას, საქართველოს მთავრობამ ვერ უზრუნველყო კონსტიტუციური ვალდებულების სათანადოდ შესრულება, კერძოდ, კონსულტაციების გამართვა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. შემდგომში, საქართველოს პარლამენტმა, რომ-

ლის უმთავრესი ფუნქცია კანონის შესრულებისა და მთავრობის კონტროლია, მთავრობის ინიციატივის განხილვისას არ იმსჯელება ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ვალდებულების დაცულობაზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიუწოდებთ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილ დეპუტატებს, პირველ რიგში კი, საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ მყოფ პოლიტიკურ ძალებს, გამოიყენონ კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის დადგენილების ანტიკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით.

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი;
- ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“;
- საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;
- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
- მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი;
- საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო;
- ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრი;
- საქართველოს მედია კლუბი
- სამოქალაქო განვითარების სააგენტო;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;
- ლიბერალური აკადემია - თბილისი;
- რეგიონის განვითარების ცენტრი;
- გორის საინფორმაციო ცენტრი;
- „საუნჯე“

სასკოლო მზარდობის ჯგუფის აღმზრდელთა ტრენინგი



ოზურგეთში 6 ივლისს დაიწყო და 11 ივლისამდე გასტანს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ფილიალების სასკოლო მზარდობის ჯგუფის აღმზრდელთა ტრენინგი. ტრენინგს ატარებს შპს სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა გადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრი (დირექტორი თ. ქემაშვილი).

ქალბატონი როზა გომეზაძე 75 წლისაა



ასაკს, წელთა სიმრავლეს რა მნიშვნელობა აქვს, როცა ქალბატონი როზა რამდენიმე ათეული წელია დიდი შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობით, როგორც დიდი პროფესიონალი, ახალგაზრდული ენერჯით განაგრძობს მოღვაწეობას ზოგადდ ქვეყნის, სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის საქმიანობაში. იგი მისაბაძი მაგალითია ყველა პედაგოგისთვის. არის ერთდროული და განათლებული პიროვნება. რაიონის პედაგოგებს ის ნამდვილ კერპად მაჩინათ მისი მაღალი ღირებულებების გამო. ასევე განათლების სისტემაში მოხსენიებენ პედაგოგის და ხელმძღვანელის ეტალონად. ოზურგეთის პროფკავშირის ორგანიზაცია მისი ხელმძღვანელობით ყოველთვის მხარში უდგას სასკოლო ცხოვრებას.

ათეული წლებია სკოლაში ვმუშაობ და ამ წნის მანძილზე მე არ მასწავლავს თხინვალის სკოლაში ჩატარებულიყოს რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება და მას უყურადღებოდ დაეტოვებინოს, არ ჩამოსულიყოს უმშვენიერესი, კეთილშობილი გულის და სპეტიკი სულის, თბილი, სათნო, შესანიშნავი შეიღების დედა, ტრადიციული ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი ქალბატონი როზა გომეზაძე. სულითა და გულით გილოცავთ დაბადების 75-ე წელს. თქვენ სრული უფლება გაქვთ, იამაყოთ თქვენი განვლილი გზით. ქალბატონო როზა, მინდა თქვენდამი გულის კარნახით დაწერილი, ჩემი მოკრძალებული ლექსითაც შეგნებთან.

თამაზ სიკაძის შუქი გმოსავთ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ქალბატონ როზა გომეზაძეს.

პედაგოგთა დიდ არმიას მუდამ ეიმედებით. გამორჩეულ ადამიანს სიტყვით, საქმის კეთებით. წინ მიგვიძღვის პროფკავშირი თქვენი დიდი უნარით, პედაგოგთა დამცველი და დიდი ჭირისუფალი. ყველა ადამიანური ღირსებით ხართ შემკული. ოზურგეთის კოლორიტი, კარგი დედის, მამის შეილი. ყველას თავის წილს მიაგებთ მოკრძალებით, არ ხშიანებთ. პედაგოგთა ჭირის, ღზინის თანამგრძობი, მოზიარე. ხშირად ვგსტუმრობ ღვაწლმოსილებს, სიხარულით გიღებთ კარებს. ეს ცხოვრება წუთიერი ღირსეულად გაიარეთ.

მეც ვეკუთვნი ძველ თაობას, დღეს მაღლობა მინდა ვითხრათ. დემერტა მოგცეთ დღევრებელობა, ყოფილიყოთ კიდევ დიდხანს. ყველა პედაგოგს უხარის, კვლავ რომ მიუძღვით მნათობად, რასაც თქვენ შრომობთ, ის არის ბუნების იშვიათობა. ვინც უშიყვლოდ განვლო გზები, იმათ შორის თქვენც ხართ ერთი. ასე ვიცნობთ განათლებას, ასე ვიცნობთ ოზურგეთი. ნაღვანს წლები მხრებზე გაწევთ, თან სიკეთის შუქი გმოსავთ. მჯერა, კვლავაც იმოდღაწებ სასიკეთოდ, ჩვენო როზა.

ნოდარ ღონაძე

„ჩემი გაკეთებული კეცი რომ ცაცხლზე გასკდეს, მაშინ ამ ხელოებას თავს დაჰანებებ“



ამ პროფესიას და სპეციალისტთა თქმით, კეცების დიდოსტატა. ბატონი ზურის კეცი, დიხაინთაც გამორჩეულია და, რაც მთავარია, არც ექსპლუატაციის დასაწყისში და არც შემდეგ ცეცხლზე არ იბზარება, არ სკდება. „მამაჩემი და ბაბუაჩემი პირველი ქვის მოხელეები, იყვნენ, ახლომასლო ეკლესიები მათი ნათალი ქვებით იყო ნაშენები. ეს ხელობა მათგან არ მისწავლია, ჩემთ დავიწყე, დღეაჩემი არ მანებებდა, ეს მამიე სამუშაო, სწავლას მოკიდე ხელით, მაგრამ ამაზე უკეთესი ვერაფერი ვისწავლე. მოკლულ, რაც თავი მასწავლავს, ქვას ვოლი. კომუნისტების დროს, ერთ პერიოდში გვიკრძალავდნენ კოდვც, რამდენჯერ ზურით ჩამომტანია უკან სამტრედიამი თუ ამაში ჩატანული კეცები, მაგრამ ჩემდ მინც ვაკეთებდი და ვვიდი, დიდ ფასი არ ჰქონდა მაგრამ მინც ვერ ვეშვებოდი“.

ვშოულობ?
 - და თვეში რამდენს აკეთებთ და რა ღირს თქვენი კეცი?
 - გაჩნია ზომას, არის ოცდარანი, ოცდაათიანი, ორმოციანიც, თვეში რამდენს ვაკეთებ რა ვიცი? გაჩნია შეკვეთებს. წინა კვირაში ჩემი 18 კეცი წაიღეს ბათუმდანი მოსკოვში.
 - რაიმე სხვა შემოსავალი გაქვთ?
 - თხილის პლანტაცია მაქვს და სიმინდიც მომყავს.
 - ოჯახში რამდენი ხართ?
 - ნულარ მკითხავთ, უპატრონო, დღისიერთა, ვიყავი, ცოლიც ასეთი შემწვდა ახლა სიღვრიც ჩემთანაა და სიღვრის გაუთხოვარი დაც.
 - სიღვრის და??
 - პო, თბილისიდანაა წამოსული.
 - შვილი რამდენი გყავთ?
 - ხუთი ბიჭი, ცოლშვილიანებია, აქედან ორი უკვე ბაბუაა.
 - რამდენი წლის ბრძანდებით?

- რამდენის ვიქნები?
 - ასე, სამოცდაათამდე.
 - 25 დეკემბერს სამოცდამეცხრამეტეში გადავდექი. შვილიშვილებზე მაკლია ცოტა გულს, მუტი უნდა მყავდეს.
 - კარგი, დავებრუნდეთ თქვენს პროფესიას. მინც როგორ კეთდება კეცი?
 - რომ უყუროთ, შეიძლება ჭადი აღარ ჭამოთ.
 - მე უფრო კეცის საჭაპური მირჩენია. რატომ, ასეთი რთული დასამზადებელია?
 - რთულია, რა თქმა უნდა. ერთიც რომ ცული გამოგივიდეს, კლინტი აღარ გეყოლება.
 - რაიმე თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებ?
 - არა, მამაპურად, ხელით ვოლი. თითო ხელსაწყო ორი კილო მინცაა.
 - საკეცი მასალას სად შოულობ?
 - მინდორში რომ ყრია, ისეთები არ არ გამოდგება, რომ ვარგებულიყო, ადრე გამოიყენებდნენ. მე რომ დავაკვირდი, არის

ლეულში ერთი ადგილი, შევდივარ შოვ და ვეძებ იქ.
 - არის შემთხვევები, როცა მაგარ ცეცხლზე კეცი იბზარება და სკდება.
 - ჩემი გაკეთებული კეცი რომ ცეცხლზე გასკდეს, მაშინ ამ ხელობას თავს დაჰანებებ.
 - მოსკოვში წაიღეს ჩემი კეცები, ბრძანეთ, ვინმე რეკლამა გაგიწიათ?
 - არა, ჩემმა შვილმა დალო ინფორმაცია ჩემს შესახებ ინტერნეტში. წარმოშობით ლანჩხუთელ კაცს, კანა ჩხაიძეს, რომელიც მაგარ საქმეზე ნამუშევარა მოსკოვში, უნახავს ჩემი სურათი. ჩამოსულა ჩონატურში, ამოსულა ვანზობლოთში, სხვა შეხვედრია, შენ არ ხარო, უთქვამს იმისთვის და ასე მომაკითხა. არ მქონდა გაკეთებული, შევპირდი და შეპირებულ დროში გავუკეთე. ჩამომკითხა ისევ, ვაჭრობა არ დაუწყია, 600 ლარი საჩუქრად მომცა ზევით, მაგის ოჯახს ააშენებს ღმერთი

ესაუბრა თამაზ მარშანიშვილი

დავით შარაშიძე: მკვლევარი, მთაბრუნელი, მშენებელი...



დავით შარაშიძე და ალექსანდრა ჯაფარიძე

წელს, 19 აგვისტოს, 20 წელი სრულდება ტურისტულ-ალპინისტური კლუბ „გურიის მთების“ კავკასიონზე პირველი დიდი ექსპედიციიდან. ამ დღეს, მოყვარული ალპინისტები რევაზ ცქვიტინიძე, ნუგზარ ასათიანი, შოთა ცხომელიძე, ცნობილ მთამსვლელებთან, ასევე ოზურგეთელ თამაზ ბაქანიძესთან ერთად (ყოფილი სსრკ 3-გზის ჩემპიონი ალპინიზმსა და მეკლდერულობაში) რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში გერგეტის მყინვარის მწვერვალ „ორწვერზე“ (ზღ. 4222 მ.) ავიდნენ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ძველი იყო ასეთი ექსპედიციის მოწყობა, რაც დაკავშირებული იყო როგორც ფინანსურ რესურსთან, ისე ტექნიკურ საშუალებებთან. თუმცა პირველი საკითხი კლუბის პრეზიდენტმა, ოზურგეთის კოლორიტმა თენგიზ ბერიშვილმა გადაწყვიტა და სპონსორები მოიძია, ხოლო მეორე თემამ ცნობილი მთამსვლელის იაგორ კაზაკაშვილის შვილიშვილი ნინო დაგვეხმარა, რომელიც თბილისში ერთ-ერთ ტურისტულ სააგენტოში მუშაობდა.

ასევე შესანიშნავი დახვედრა მოგვიწვეს მყინვარწვერის ფერდობზე, ზღვის დონიდან 3645 მეტრზე მდებარე მეტეოსადგურში, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ოზურგეთელმა დავით შარაშიძემ ააგო. მეტეოსადგური ამჟამად კერძო პირს ეკუთვნის და იქ დაბანაკებულ უცხოელ თუ ქართველთა მსვლელებს ღამისთევითის გარკვეული საფასურის გადახდა უწევთ. ჩვენ ყოველგვარი საზღაურის გარეშე მოგვითავსეს და შემდეგაც არ მოუკლიათ ყურადღება. ეს კი ბატონ დავით შარაშიძის სახელს უკავშირდებოდა.

* * *

ვინ იყო დავით შარაშიძე და რა როლი მიუძღვის კავკასიონის მაღალ მთაში ასეთი მნიშვნელოვანი შენობის აგებამ?

როგორც მისი ქალიშვილი ნუნუ შარაშიძე გვიყვება, „დავითი 1912 წლის 21 დეკემბერს დაიბადა ქობილისში, მასწავლებლის ოჯახში... დედა მეტია ბერძენიშვილი იყო დიდი მუიკალური ტრადიციების მქონე ოჯახიდან – ცნობილი ლოტბარისა და მომღერლის ვლადიმერ ბერძენიშვილის და...მამა-მელიტონ შარაშიძე იყო ფილოლოგი...რუსულ ენასა და ლიტერატურას გადასცემდა ჯერ თბილისში, კამოს ქუჩაზე არსებულ პედაგოგიურ სასწავლებელში, შემდეგ ქობულეთის სასულიერო სასწავლებელში.

დავითს ჰყავდა ორი ძმა და ერთი და...ოჯახში ყველა უმაღლესი განათლების მქონე იყო...დავითის ძმა სო-

ლო-ეჭიძე; ლევანი პედაგოგიური განათლების მქონე; და-ქნი თამარ შარაშიძე გეოგრაფი-დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თავად დავითმა საშუალო განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც მდებარეობდა დიდუბეში, მათ სახლთან ახლოს (ამჟამად ფოთის ქ. №38)... მოსწავლეობის პერიოდში დავითი მღეროდა ე.წ. „ხორში“... სასწავლებელთან არსებულ კაპელაში... შარაშიძეებს ჰქონდათ ფუძისეული სოფელი მთისპირში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დავითი პეტერბურგის უნივერსიტეტში, ჰიდრომეტეოროლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძობს სწავლას. აქ იგი დაუახლოვდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, განსაკუთრებით კი – პროფესორ შმიდტს. დავითი კარგად ფლობდა უცხო ენებს, თუმცა თავისი დიდი ცოდნა და მონაცემები საკმაოდ მოკრძალებულად მიანდა და ცდილობდა არ აღმოჩენილიყო სტალინის ხმის ყურადღების ობიექტი.

ბოლო კურსზე მყოფი დავითი საგანგებო დავალბით პეტერბურგში წარმოავლინა საქართველოში... კერძოდ, მაშინდელი ქართველი მეცნიერების (პროფესორები ალექსანდრი დიდბულიძე, რაჯდენ ხუციშვილი, ნიკო კეცხოველი, რაგიველი ნინიძე), რჩეული გუნდი გააერთიანეს გლობალური კლიმატური და დედამიწის გარსის კვლევისთვის.

მეცნიერთა პირველი კვლევები მეტად რთულ და გაუსაძლის პირობებში მიმდინარეობდა... მოგახსენებთ, ეს იყო სტალინის ეპოქა და არ არსებობდა კომპრომიზები, თუნდაც სიცოცხლის საფასურად...

პირველი კვლევებისთვის ყაზბეგზე განთავსდა ფიცრული ლაბორატორია, თავისი დანადგარებით, ბარომეტრებით და ასე შემდეგ... „ბეთლემის ქოხის“ სახელწოდებით გადაიკეთდა კვლევის შედეგები.

მამა იყო უფროსი და პასუხისმგებელი მეცნიერ-მუშაკი, რომელთანაც თანამშრომლობდნენ მსოფლიოს მაშინდელი პრესტიჟული უნივერსიტეტები – ოქსფორდის, კემბრიჯის, პეტერბურგის, და ა.შ.

პირველი მოზამთრები იყვნენ დავით შარაშიძე, იაგორ კაზალიკაშვილი და ალექსანდრე გვალია.

აქ დავითთან ერთად მოღვაწეობდნენ მისი ძმებიც... სოსო შარაშიძე, რომელიც თავისი ნიჭიერებით, მხიარული ხასიათით და მაღალი ინტელექტით სიყვარულს ყველასთვის სასურველი მეგობარი იყო... იგი ომში

შეიწირა... შემდეგ დავითმა მიიღო დავალება-აგეთ მყინვარწვერზე კაპიტალური ობსერვატორიის შენობა... პროფესიით ჰიდრომეტეოროლოგი დისკვალიფიკაციის შემდეგ ხდება მშენებელი ინჟინერი და ურთულეს დავალებას ასრულებს... იწინებში 24 ოთახიანი ციხე-სიმაგრის მშენებლობას გაუძღვა. მასთან ერთად მშენებლობაზე მუშაობდა რაფიელ ნინიძე... იქ ვერანაირი ტრანსპორტი ვერ ავიდოდა, მხოლოდ ცხენების, ვირების და ჯორების საშუალებით აიტანეს სამშენებლო მასალები, ქვა იქვე კლდის ფერდობზე მოამტკრიეს მაშინ ეს იყო გრანდიოზული გმირობა, შენობა დღესაც დგას, მკვიდრად და ერთი ბზარაც კი არ გააჩნია... მუდმივი მზრალობის პირობებში ცემენტის ნაგებობის აგება მაშინდელ დროში ეს იყო დიდი გამარჯვება.

აქ დავითი, როგორც უფროსი მეცნიერ-მუშაკი, თითქმის 15 წელი მოღვაწეობდა. ისინი აკვირდებოდნენ გლობალური დათბობის პროცესებს, მზის სხივების სიმძლავრეს.

დავითთან მეტეოსადგურზე ადიოდნენ აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, მწერალი ლევან გოთუა.

დავითის სულიერი მეგობრები იყვნენ და-ძმა ალექსანდრა და ალიონა ჯაფარიძეები.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციას 20 წლის წინ დავით შარაშიძის მეუღლემ, ქალბატონმა ლუიზა ნაჭყვებამ ერთი საინტერესო წერილი გადასცა, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ:

„თბილისის ობსერვატორიის დირექტორს, ახ. გ. ლოლაშვილს“

მე მივიღე დეპეშა და შევეცდები მოგაწოდოთ ის მასალები, რომლებიც თქვენთვის არის საჭირო, რადგან მრავალი მიზეზის გამო ვერ ჩამოვალ.

1933 წელში ტარდებოდა მეორე საერთაშორისო პოლარული წელი. ამ წლის ზაფხულში, ტურისტულ-საექსპედიციო სამმართველოს მიერ აგებული იქნა ქოხი მყინვარწვერის ფერდობზე, რომელსაც სიმონ ჯაფარიძის სახელი მიუეკუთვნა. მეორე პოლარული წლის ჩატარებასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურმა სამმართველომ ნაჩვენები ქოხი გამოიყენა ყაზბეგზე ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის მოსაწოდება და საერთოდ ზამთრობის ჩასატარებლად. მე ლენინგრადში მივიღე დეპეშა მთავარი ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოდან, რათა დამეტოვებია სამუშაო და დავბრუნებულიყავი თბილისში, ყაზბეგზე ექსპედიციური ხასიათის სამუშაოების ჩასატარებლად.

ყაზბეგზე ავედი 1933 წლის 16 სექტემბერს და ამ დღიდან დაიწყო რეგულარული სამ კადანის (7,13,21) დაკვირვებანი მეტეოროლოგიურ სადგურზე მაშინ არსებული პროგრამის მიხედვით. გარდა ამისა, ვგჭირდა მიხელსონის აქტინომეტრი. პირველად ავედი ოთხნი: მე, იაგორ კაზალიკაშვილი, გარი მეზენჩუკი და რადისტი ილინი. რადისტი მაღალმთიან თავისებურებობის გამო შიშმა შეიპყრო და შესამე დღეს გამოიპარა, ხოლო მეზენჩუკი ზუსტად 24 დღის შემდეგ წამოვიდა იაგორ კაზალიკაშვილის თანხლებით, რომელმაც ხელის თითების მოყინვა მოიმიზეზა და საშინელ ტკივილებს უჩიოდა. კარგად მახსოვს, დეკემბერი და იანვარი ვაგატარე სულ მარტოდ, რადგან იაგორ კაზალიკაშვილი ამ დროის მონაკვეთში ვერ დაბრუნდა ცუდი ამინდების გამო.

ამიერკავკასიის ჰიდრომეტეორო-

ლოგიურმა სამმართველომ ჩემივე მოთხოვნით გამოგ ზავნა ალექსანდრე გვალია, რომელიც კაზალიკაშვილთან ერთად ამოვიდა, თუ არ ვცდები, 1934 წლის 28 იანვარს. ამ დროიდან მდგომარეობა შემსუბუქდა, რადგან მარტოდ აღარ ვიყავი. საზამთრო ქოხი წარმოადგენდა ერთმანეთს ფიცრულ კედლებთან შენობას, სადაც ტემპერატურა 0-ზე დაბლა იყო და ღამით მინუს 20-ზე ჩამოდიოდა. 1934 წლის 1 ივლისს წამოვედი ყაზბეგის ზამთრობიდან და გამოვეცხადე სამმართველოში ყველა მასალებით. ჩამოტანილი მსალები დამუშავებული (თვით მწერების ჩათვლით) ჩავაბარე, რაც კომისიამ მიტროფანე კორძაბიას თავმჯდომარეობით დეტალურად გასინჯა და სრულიად დამკმაყოფილებლად ცნო. შალვა მოსიძემ აქტინომეტრიულ დაკვირვებებს მაღალი შეფასება მისცა (რაზეც არსებობს დოკუმენტი).

1934 წელში საღვურთ იმავე პროგრამით მუშაობდა ყველა ელემენტზე, დაკვირვება ონესტრების პირ ამოტეხი და სამეურადიანი ფელ-ტრით აღჭ-



მთაბრუნელი მშენებლის ალექსანდრე გვალის კვანძი

ურველი აქტინომეტრი. მოზამთრები იყვნენ: იაგორ კაზალიკაშვილი, რადისტი პოცლოუბი, ილია ხუციშვილი და სოსო შარაშიძე.

1934 წლის ზაფხულში პროფესორი რაფენ ბარლომეს-ძე ხუციშვილი გაეცნო რა ჩვენს მასალებს და ყოფაცხოვრების პირობებს, დიდი მზრუნველობით შეუდგა მთელი რიგი მეთოდური საკითხების დამუშავებას და ამასთან გვითხრა: „რომ ვამბობა შეიძლება ერთ წელიწადს, ორ წელიწადს, ხოლო მომავალში ჩვენ იქ კარგი შენობა უნდა აგავთ და ნამდვილი ობსერვატორია უნდა შექმნათ.“ ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ერთობლივი მუშაობა ობსერვატორიის შენობის ასაგებად. დიდი დავა იყო, როგორი ავედო შენობა – კაპიტალური თუ ხის კედლებით. ჩვენ მომხრე ვიყავით კაპიტალური შენობის აგების, რასაც შესაფერისად ვასაბუთებდით, ხოლო პროფესორი ნეპრინევიცი იცავდა ხის შენობის ვარიანტს.

1935 წლის ზაფხულზე ყაზბეგზე წავიდა კომისია: პროფესორი რაფენ ბარლომეს-ძე ხუციშვილი, გიორგი იოსების ძე ჭირაქაძე, ალექსანდრა ჯაფარიძე და მე. რაფენს თან ახლდა მისი ვაჟი გივი ხუციშვილი, თუმცა ამ კომისიის თავმჯდომარედ მე ვიყავი გაფორმებული, ხოლო თქვენ თვითონ გაივებთ, ამ გოლიათობთან როგორ ვითავჯდომარეობდი. კომისიამ შეარჩია ადგილი ობსერვატორიის შენობისათვის, ამჟამად არსებული.

პროფესორმა ხუციშვილმა გამეზავნა ინჟინერ ნიკოლაშვილთან, რომელსაც ჰქონდა გერმანული წიგნი „Iungfrau ios“-ის ობსერვატორიის სრული აღწერილობა. ამ წიგნის დე-

ტალურად გაცნობის შემდეგ ჩვენი აზრი გავაცანით ინჟინერ ვალიკო ჩარკვიანს, რომელმაც შეადგინა პირველი პროექტი ობსერვატორიის შენობისა, შემდეგ ვაგავ ზავნით პირადი წერილი მთავარი სამმართველოს უფროსის გიორგი ალექსანდრეს ძე უშაკოვის სახელზე თხოვნით, სახსრების გამოყოფისთვის. მივიღეთ 40 000 მანეთი პროექტისათვის და დროებითი საბაზო ნაგებობის მოსაწყობად. პროექტი დამზადდა „საქკომუნენში“, არქიტექტორ ლაზკოვის, პროფესორ ნეპრინევიცის ზედამხედველობით, რომლებიც მთელი მუშაობის პერიოდში არ მომამორეს და ყველა მონაცემებს ითვალისწინებდნენ.

1938 წლის დეკემბერში პროექტი ყველა განმარტებით წავიღე მოსკოვში განხილვაზე, სადაც დიდი დავა გადავიტანე. მოსკოვში მივმართე აკადემიკოს სუმიანს, რომელმაც დადასტურა პროექტის ვარჯისიანობა მუდმივი მზრალობის პირობებისთვის და ძალიან დაინტერესდა ჩემი მონაცემებით მუდმივ მზრალობაზე. ამის შემდეგ გამარჯვება ჩვენ გვხდა. გა-

ზეების მაღალმთიანი ობსერვატორიის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა 1 384 ათასი მანეთის ოდენობით, დამტკიცებულ იქნა. მშენებლობა ჩაისვა ტიტიულში.

1939 წლის აპრილის თვიდან შევუდექი მშენებლობას, სადაც ვიყავი მშენებლობის უფროსად. გიორგი (ეორა) ტრაპაიძე მუშაობდა სამუშაოთა მწარმოებლად. (სხვათაშორის: 1937 წელში გამრიცხეს კომკავშირიდან და სხვა ბრალდებითა შორის მწვერვალ მდინაშაულბენდენ, რომ მე ავტორი ვიყავი ყინულებში კაპიტალური შენობის აგების წინადადებისა. ემინოდათ, რომ ეს დაინგრევაო).

მშენებლობის სიძნელებსა და დეტალებს აღარ ვაგვარებდებ. შენობა მესამე წლისათვის კიდევ დამთავრდა. მრავალი საინტერესო ხასიათის ექსპედიცია ამოდიოდა ყაზბეგზე, ბევრ ძვირფას მონაცემებს აგროვებდნენ. მათ შორის მე მინდა აღვნიშნო ხარკოვის ფიზო თერაპიული ექსპედიცია, რომელმაც მეტად დიდი მუშაობა ჩატარა. ასევე – თბილისის ფიზიოლოგიური ინსტიტუტის ექსპედიცია პროფესორ ვანაძის ხელმძღვანელობით და კემბრიჯის უნივერსიტეტის ექსპედიცია კოსმიურ სხივების შესწავლაზე დოქტორ ჰუსხელმძღვანელობით.

ეს არის მოკლე, რაც ჩემი აზრით თქვენთვის გამოსადევი იქნება.

დავით შარაშიძე,

14.09. 1963 წ.

მასხარაძის რაიონი, სოფ. მთისპირი“.

ნასაკირალელთა სამი საოცრება – „პეპი“ „ჭიამია“ და მინიონები“



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლაძველი აღზრდის ცენტრის პროექტები „მუსიკალური კონკურსი“ და „მხიარული სტარტები“ იმთავითვე საზოგადოების საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს. ამ კონკურსებმა აჩვენა, რომ ტალანტების საძებნელად არ გვჭირდება საქმე, რომ ჩვენს საბავშვო ბაღებში მრავალი ტალანტი იზრდება, რომლებიც უახლოეს მომავალში თავიანთ საოქმედს იტყვიან ჩვენი ქვეყნის კულტურულ, ინტელექტუალურ თუ სპორტულ საქმიანობაში.

მოხდა ისე, რომ, ობიექტური მიზეზების გამო, ორივე პროექტში ბოლო აკორდის შესრულება ერთდროულად მოუხდა დაბა

ნასაკირალის საბავშვო ბაღს (მენეჯერი თეონა ხმელიძე), რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი ამ მისიას და როგორც პირველ, ისე მეორე კონკურსში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ვისაც ამ საბავშვო ბაღთან შეხება ჰქონია, მისთვის ეს უფრო ლოგიკური შედეგი იყო, ვიდრე სიურპრიზი.

ნასაკირალელთა „პეპი“ ისეთი მუსიკალური ჯგუფი აღმოჩნდა, რომელსაც არათუ ამ დაბასა თუ ოზურგეთში, არამედ უფრო ფართო მასშტაბითაც ძნელად თუ ვინმე გაუწევს კონკურენციას. მუსიკის შეგროვების საოცარი ალლო, უტყუარი ვოკალი, დახვეწილი სასცენო მოძრაობა, ქრონოლოგიურად განვითარებადი რე-

პერტუარი და რაც მთავარია, ბავშვისათვის დამახასიათებელი, ბედნიერებით სავსე ხიბლი – ამ თვისებებით გამოირჩევიან პედაგოგების მაია ირემაძის, მერი ანთაძის, ინგა თავდგირიძის, ირინა ქათამაძის მომზადებული აღსაზრდელები: დიმა ანთაძე, ელენე აბაშიძე, ლიზი ბოლქვაძე, მარი ბერიძე, მარიამ ბერიძე, ჯაბა ბერიძე, გვანცა გელაძე, ქეთი ვანაძე, ლიზი ვანაძე, ლიზი ზოიძე, ზურა თავდგირიძე, სალომე ირემაძე, ნუკრი ირემაძე, ხატია ირემაძე, ანანო ირემაძე, მაყვალა ირემაძე, ლიკა ირემაძე, გიორგი ირემაძე, ზვიად ლაზიშვილი, ჯავო მამედოვი, ნიკა მურმანიძე, საიმე მგელაძე, აჩი მგელაძე, თიკა პაიჭაძე, ილია რამიშვილი, ნატა ფუტყარაძე, ანა ქვირია, ნიკოლოზ ქვირია, ლიზი ქათამაძე, გოგოლა შავაძე, ელენე ცაცანიძე, დიანა ცაცანიძე, ნიკა ძირკვაძე, როინი ხარაბაძე, სიარა ხოსაძე.

რაც შეეხება, „მხიარულ სტარტებს“, აქ მართლაც იმზიარულეს და გაილაღეს ნასაკირალელმა ბავშვებმა – ჯგუფების „ჭიამიასა“ და „მინიონების“ წევრებმა. მათი იმპროვიზებული ნომრები, როგორც რაოდენობრივად, ისე სიუჟეტითა და სირთულით ამჟღავნებდა ადვანტიურადა პროგრამით გათვალისწინებულს, მაგრამ იმდენად კარგად იყო მომზადებული, ჟიურმაც თავი ვერ



შეიკავა ემოციებისაგან და ყველა ნომინაცია ათ-ათი ბალით შეაფასა. მოკლედ, „ჭიამიასა“ და „მინიონების“ შერეობამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, უფრო სწორად ორი გამარჯვებული გამოავლინა, ორივე გუნდი ერთმანეთის ტოლ-სწორი აღმოჩნდა და მათ, სხენებულ ქულებთან ერთად, თანაბარი რაოდენობის აპლოდისმენტები ერგოთ.

გაგაცნობთ „მხიარული სტარტების“ იღბლიან მონაწილეებს ნასაკირალის საბავშვო ბაღიდან: მინდია მურმანიძე, დიეგო ტაკიძე, თათია მურმანიძე, მაკა ვანაძე, თათია მანარაძე, საბა მანარაძე, ლიზი ბერიძე, დავით ბეჭაძე, სარა ლაზიშვილი, ჯაბა ქათამაძე, ლუ-

ნა ბერიძე, ნიკა ნაკაიძე, ლუკა ნაკაიძე, ნატალი ვანაძე, ქეთი რამიშვილი, ვანიკო გოგოლაძე, ზურა პაიჭაძე, ლოლიტა გორგაძე, ლიზი ბერიძე, ანა წინწკალაძე, გიორგი ხარაბაძე, ანრი თავდგირიძე, ჯუნა გორგაძე, შოთიკო ვანაძე, მარი ირემაძე, მაგდა ირემაძე, ლუკა ბერიძე, ანუკი ძირკვაძე, საბა მგელაძე, დიმა მგელაძე, გურამ ღუმბაძე, საბა ანთაძე, მარი ტაკიძე, საბა მურმანიძე, გიორგი ძირკვაძე.

„მხიარული სტარტებისთვის“ ნასაკირალელი აღსაზრდელები მოამზადეს: ნონა კუპატაძემ, ზინა თავაძემ, მზია კონცელიძემ, მერა ანთაძემ, მაიკო ირემაძემ, ილინა დოლიძემ.

ავტომობილები განვადებით

„იპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას ავშ, ვეროპის და იაპონური (მარცხენა საჭმ) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადასახდელია გაქსიფში 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრემიუმდროდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უზასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ. № 11ა.

როგორ გადასაწილდება ქულები დარღვევებზე მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემის ამოქმედებიდან

საგზაო უსაფრთხოების შესახებ კანონის საქართველოს პარლამენტმა პირველივე მოსმენით დაამტკიცა და იგი ძალაში 1 ივლისიდან შევიდა.

ცვლილების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც მართვის მოწმობა აქვს, მიენიჭა 100 ქულა. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს მართვის მოწმობაზე დარიცხული ქულები ამოიწურება 1 წლის განმავლობაში, მას მართვის უფლება 1 წლის ვადით შეუჩერდება.

მართვის მოწმობის გაუქმების შესახებ მოქალაქეს ეცნობება მაშინ, ანუ გამაფრთხილებელ შეტყობინებას მიიღებს, თუკი მოწმობაზე დარიცხული ქულების რაოდენობა შემცირდება 20 ქულამდე.

ქულების მინიმალური დანაკლისი არის 5, ხოლო მაქსიმალური 40 ქულა.

კანონში დადგენილი ცვლილებების მიხედვით, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის, ითვალისწინებს 20 ქულას, ამ დანაშაულის განმეორებით ჩაღწა 1 წლის ვადით ითვალისწინებს 30, ხოლო სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის ითვალისწინებს 30 ქულის დაკლებას.

125-ე მუხლი, რომელიც სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს, ისევ რეგორც 5 ქულით, ისე უმაღლესი 40 ქულით.

აი მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, თუკი იგი სამუშაო ვადის განსაზღვრულ ვადებში, ამისთვის ჩამოგვჭრება 25 ქულა.

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა საავტომობილო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, 30 ქულის ჩამოჭრას ითვალისწინებს.

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, ამ სახის სამართალდარღვევა 40 ქულით დაისჯება.

მართვის მოწმობის პრაქტიკულ გამოცდაში ცვლილება შევა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ქულა აქვს მინიჭებული, მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოციკლის გამოყენებლობას და ითვალისწინებს 5 ქულის დაკლებას.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზა, ღრუბლი +14+24 10 ივლისი ორშაბათი	მზა, ღრუბლი +14+24 11 ივლისი სამშაბათი	ღრუბლი 14+25 12 ივლისი ოთხშაბათი	მზა, ღრუბლი 16+26 13 ივლისი ხუთშაბათი	მლ-ქვიშა +18+23 14 ივლისი პარასკევი	წვიმა +20+24 15 ივლისი შაბათი	მზა, ღრუბლი +21+26 16 ივლისი კვირა
--	---	---	--	--	--	---